

V საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმის  
„ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“

„მითოსური აზროვნება, ფოლკლორი და ლიტერატურული დისკურსი. ევროპული  
და კავკასიური გამოცდილება“;

(მიეძღვნა ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150-ე წლისთავს)

## ა ნ გ ა რ ი შ ი

2011 წლის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ორგანიზებით, კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაციისა (GCLA) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანაორგანიზებით ჩატარდა V საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“, რომელიც მიეძღვნა ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150-ე წლისთავს. სიმპოზიუმის თემა იყო: „მითოსური აზროვნება, ფოლკლორი და ლიტერატურული დისკურსი. ევროპული და კავკასიური გამოცდილება“;

მუშაობდა შემდეგი სექციები:

- ვაჟა-ფშაველა. ეპოქა და შემოქმედი;
- მითისქმნადობა და მხატვრულ სახეთა სისტემა;
- კავკასიური მითოლოგია და ქართული ფოლკლორი;
- უნივერსალური არქეტიპები და ნაციონალური მითები;
- მითოლოგიური დისკურსი და კულტურის ტიპოლოგია;
- მითო-ფოლკლორული აზროვნება და ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობა;
- მითი, რიტუალი, სიმბოლო.

სამუშაო ენებად გამოცხადდა ქართული, ინგლისური და რუსული.

სიმპოზიუმის მონაწილეობის მისაღებად საორგანიზაციო კომიტეტში შემოსული 200-ზე მეტი განაცხადიდან, საექსპერტო კომისიის მიერ შეირჩა 135 მოხსენება. სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ როგორც საქართველოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო და კვლევითი ცენტრების (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ა.შ.), ასევე – აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ბულგარეთის, რუმინეთის, ჩეხეთის, ირანის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, ყაზახეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, რუსეთის, უკრაინის, სამეცნიერო-კვლევითი და საუნივერსიტეტო ცენტრების წარმომადგენლები, სულ 59 უცხოელი სტუმარი.

საერთაშორისო სიმპოზიუმი საზეიმოდ გაიხსნა 28 სექტემბერს, „შერატონ-მეტეხი პალასის“ საკონფერენციო დარბაზში. გახსნის ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ბატონი ალექსანდრე კვიციანი, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი, ბატონი სულხან სისაური, სიმპოზიუმის მონაწილეები, რომელთაც წინასწარ გაიარეს რეგისტრაცია.

შესავალი სიტყვით გამოვიდა და სიმპოზიუმი გახსნილად გამოაცხადა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ირმა რატიანმა, კონფერენციას მიესალმნენ მოწვეული სტუმრები.

სიმპოზიუმის გახსნაზე მოეწყო ამირან არაბულის წიგნის „ვაჟაკობისას ამბობენ (ედვინება ვაჟა-ფშაველას 150 წლისთავს) პრეზენტაცია. პლენარულ სხდომაზე მოხსენებები წაიკითხეს ქართველმა მეცნიერმა – ზაზა აბზიანიძემ და კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯენიფერ უოლესმა.

სიმპოზიუმის შემდგომი მუშაობა 29 სექტემბერს გაგრძელდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, სადაც ორი დღის განმავლობაში, 10 სექციაზე წაკითხული იქნა 47 მოხსენება. იმ 17 მონაწილის მოხსენებები, რომელთაც ობიექტური მიზეზების გამო, საქართველოში ჩამოსვლა ვერ მოახერხეს, სტენდებზე გამოიკრა და მათი გაცნობის საშუალება მიეცა დანარჩენ მონაწილეებს.

სიმპოზიუმის მსვლელობისას, ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიერ არაერთი სამომავლო სამეცნიერო პროექტი დაიგეგმა.

სიმპოზიუმი საზეიმოდ დაიხურა 1 ოქტომბერს, სოფელ ჩარგალში, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში. დახურვის ცერემონიალს ესწრებოდნენ რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ხელმძღვანელი სულხან სისაური და სხვა წარმომადგენლები. უცხოელმა მეცნიერებმა მათთვის დაუვიწყარი დღე გაატარეს ვაჟას სამყაროში.